ENERGO-PRO
JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia
სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

ს/ს ენერგო-პრო ჯორჯია
ტ.№ 2306007
"15" 09 20 20
JSC ENERGO-PRO GEORGIA

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს დაგეგმილი აქვს, ჭიათურის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე გამავალი 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „დილიკაური"-ს რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია და 110 კვ ძაბვის ქვესადგურ „ჭიათურა 5"-ში 110 კვ ძაბვის ახალი უჯრედის დამატება.

საპროექტო ეგხ „დილიკაური"-ს აღდგენის მთავარი მიზანია, 110 კვ ძაბვის ქ/ს „ჭიათურა 5"-ს 500 კვ ძაბვის „ზესტაფონი 500"-სთან დაკავშირება, რითაც შესაძლებელი იქნება ქარის ელექტროსადგურ (ქეს) „იმერეთი 1"-ის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ერთიან ელექტროსისტემაში ჩართვა.

დაგეგმილი საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მიხედვით წარმოადგენს II დანართის 3.4 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ საპროექტო ეგხ-ის აღდგენა ითვალისწინებს მნიშნელოვანი მოცულობის სამუშაოებს და მასთანავე დერეფნის დაახლოებით 5 კმ სიგრძის მონაკვეთზე ადგილი ექნება ახალი დერეფნის ათვისებას, აღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის გათვალისწინებით, სს ენერგო პრო ჯორჯიამ მიიღო გადაწყვეტილება, პროექტის განხორციელებისთვის გაიაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) პროცედურა სკრინინგის პროცედურის გარეშე.

გამომდინარე იქიდან, რომ გზშ-ს პროცედურის პირველი ეტაპი სკოპინგის პროცედურაა, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, წარმოგიდგენთ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „დილიკაური"-ს და 110 კვ ძაბვის ქვესადგურ „ჭიათურა 5"-ის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშს.

14742
17 09 20
2/CD

წერილ თან ერთვის:

1. 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „დილიკაური“-ს და 110 კვ ძაბვის ქვესადგურ „ჭიათურა 5“-ის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
2. საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით და სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია - 1 CD;

აქვე გაცნობებთ, რომ ეგხ დილიკაური და ქვესადგური ჭიათურა-5 წარმოადგენენ სს ენერგო პრო ჯორჯიას საკუთრებას.

პატივისცემით,

მიხეილ ბოცვაძე
გენერალური დირექტორი

შემს: გ. ზოიძე / ტელ: 577 35 05 09;